# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 160

„15" აპრილი 2022 წ

ქ. თბილისი

**,,ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №22.435.481 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ,,ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01220323237-67 (№012203657-67; №01220492708-67; №01220831269-67; №0122084893-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულიპირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარებისსააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 22.435.481**
**29 / მარტი / 2022 წ.**

**„ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 1 თებერვალს N01220323237-67 (N012203657-67; N01220492708-67; N01220831269-67; N0122084893-67) განცხადებით მიმართა ვაჟა მანაშეროვმა (პ/ნ 01002006327) და მოითხოვა „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N262ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.13.33.805). მთლიანი არეალის ფართობი: 50 000 კვ.მ. ასევე, აღნიშნული ტერიტორია მდებარეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის შეზღუდვის არეალში. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 12 იანვრის N2-03/482 წერილის შესაბამისად, შემცირდა აღნიშნული შეზღუდვის არეალი და უწყება თანახმაა შენობათა განთავსების არეალის გაზრდაზე.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (სზ-3).

„ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, გზის შუახაზიდან 100 მ-იანი დაშორების დაცვით, განთავსებული იყო რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო, რომელსაც დადგენილი ჰქონდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1 – 13 559,5 კვ.მ.) ხოლო გზის გაფართოვების შეზღუდვის გათვალისწინებით, არასამშენებლო ტერიტორიას დადგენილი ჰქონდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3 – 36 440,5 კვ.მ).

ფუნქციური ზონირება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

სამრეწველო ზონა 1 (ს-1 - 13 559,5 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3 – 36 440,5 კვ.მ)

ფუნქცია: რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

ს-1 - 13 559,5 კვ.მ

კ-1= 0,3 – 4055.1 კვ.მ

კ-2= 0,3 – 3600.0 კვ.მ

კ-3= 0,1 – 1065.8 კვ..

12 მეტრი / 1 სართული.

რზ-3 - 36 440,5 კვ.მ. - არასამეშენებლო

განაშენიანების რეგულირების გეგმის მითითებულია ზონის შესაბამისი პარამეტრები.

კ-1= 0,3 კ-2= 1,0 კ-3= 0,5

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით მოთხოვნილია არსებული რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმოს გაფართოვება, ემატება საწარმოს შენობა და შოურუმი. მოთხოვნილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1).

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 12 იანვრის N2-03/482 წერილის შესაბამისად, შემცირდა თბილისის შემოვლითი გზის გაფართოვების შეზღუდვის არეალი და თანახმაა შენობა განთავსდეს გზის შუახაზიდან 34,80 მეტრის დაშორებით.

მაქსიმალური სიმაღლე გაიზარდა 15 მეტრამდე. სართულიანობა დარჩა უცვლელი - 1 სართული.

საპროექტო პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

ს-1 - 50 000 კვ.მ

კ-1= 0,3 – 14 900 კვ.მ

კ-2= 0,3 – 14 900 კვ.მ

კ-3= 0,2 – 8 300 კვ.მ

15 მეტრი/1 სართული.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური სანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 28 მარტის N01220871820 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა N72.13.33.805 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 25 მარტის N01220841203 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ,,ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01220323237-67 (N012203657-67; N01220492708-67; N01220831269-67; N0122084893-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის

კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვისგანკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01220841203**
თარიღი: **25/03/2022**
პინი: **3180**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2022 წლის 24 მარტის N 01220831269-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N262ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.13.33.805) საწარმოსა და პროდუქციის შოურუმის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა** და **შეთანხმების წერილები** (N16-01220813436. 22/03/2022 ; MIA 6 22 00750159. 23/03/2022).

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01220871820**
თარიღი: **28/03/2022**
პინი: **5711**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 25 მარტის №0122084893-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №262ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.13.33.805; არსებული ფუნქციური ზონირება: სამრეწველო ზონა 1 (ს-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: ს-1; გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 3) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 1 ძირი (№1) ლეღვი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/ გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მისი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

განმცხადებლის მიერ საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 7500 მ$^2$-ს, ხოლო, საპროექტო ფუნქციური ზონიდან (ს-1 კ-3=0.1) გამომდინარე განსაზღვრული - 5 000 მ$^2$-ს. აღნიშნულთან დაკავშირებით განობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარაგავების რაოდენობა (**არსებული:** 5 ძირი თელა და **საპროექტოდ დასარგავი:** 42 ძირი ჰიმალაის კედარი; 48 ძირი იტალიური ფიჭვი; 25 ძირი კავკასიური აკაკი; 18 ძირი რობინია (ცრუაკაცია); 6 ძირი იაპონური სოფორა; 48 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი; 58 ძირი ჩვეულებრივი იფანი; 28 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი; 15 ძირი ევროპული მუხა; **ჯამში - 293 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ფუნქციური ზონიდან გამომდინარე განსაზღვრულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის (0.1) საანგარიშო ფართობს **(5 000 მ$^2$).**

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 72.13.33.805 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**

# საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/482
12/01/2022

482-2-03-2-202201122212

მოქალაქე ჯაბა ჩხაიძეს (პნ 01031003768)
მის: ქ. თბილისი. თაბუკაშვილის ქუჩა №19
ტელ: 551445518
ელ.ფოსტა: jaba@mega.com.ge

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ასლი: შ.პ.ს. „გზა და ხიდს"
gzadakhidi@gmail.com

ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL"-ს
Info_projects@egis-georgia.com

თქვენი 2021 წლის 30 დეკემბრის (კანც.№41413/2) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №262ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №72.13.33.805), რომელიც მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ12+300მ-ში, მარჯვენა მხარეს, საავტომობილო გზის ღერძიდან 34.80 მეტრის დაშორებით განთავსდეს საამქრო, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

**1. შ.პ.ს. „გზა და ხიდი"-ს წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით, შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან შეთანხმებით და ობიექტის მესაკუთრის ძალებითა და სახსრებით, სამქროსთან სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელის ს/გზასთან მიერთებები, საავტომობილო ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყოს 15 მეტრიანი რადიუსის (R=15) მქონე მრუდებით, რომელიც უნდა მოიხრეშოს, მოშანდაკდეს ჰორიზონტალურად და აღიჭურვოს მოძრაობის ორგანიზაციის მარეგულირებელი შესაბამისი საგზაო ნიშნებით და ცემენტობეტონის ან/და ასფალტობეტონის საფარით, რომლის ნიშნულის დონე არ უნდა აღემატებოდეს თბილისის შემოსავლელის საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის ნიშნულის დონეს.** შენარჩუნებული იქნას საავტომობილო გზის გვერდული და წყალმომცილებელი საშუალებები.

**2. მიწის ვაკისსა და სავალ ნაწილზე ატმოსფერული ნალექების მოცილების უზრუნველსაყოფად ობიექტის ტერიტორიის ფარგლებში მოეწყოს წყალმომცილებელი საშუალებები.**

3. მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის დგომა.

**4. საამქროს მისასვლელთან თანახმად საგზაო ნიშნების შესახებ ევროპის კონვენციისა (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ) და არსებული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, აკრძალულია ფასების მაუწყებელი და სხვა დანიშნულების სარეკლამო ფირნიშების გზის გასწვრივ მძღოლთა ყურადღების არეალის ფარგლებში განთავსება.**

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

5. ობიექტის მეპატრონე ვალდებულია სამქროს ტერიტორიის ფარგლებში, თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოს სისუფთავის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა. სამქროს ფუნქციონირების პერიოდში ასფალტობეტონის ან/და ცემენტობეტონის საფარით აღჭურვილი მიერთების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

**6. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე სამქროს განთავსების და სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის საკითხი უნდა შეთანხმდეს შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან.**

7. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ობიექტის დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დაცული უნდა იყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

9. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები **(სამქროს ადგილმდებარეობა, კმ და პკ, საავტომობილო გზის ღერძის მიმართ დაშორება, საგზაო ნიშნების განთავსება, მიერთებების ასფალტობეტონის ან/და ცემენტობეტონის საფარით და საგზაო ნიშნების აღჭურვა, სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის შეთანხმება შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან და სხვა)** უნდა იყოს მკაცრად დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში სამქროს მოწყობასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.

10. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს სამქროს მშენებლობის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

11. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება სს „EGIS INTERNATIONAL"-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სს „EGIS INTERNATIONAL" ვალდებულია აცნობოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს მშენებლობა, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

12. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება სამქროს სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან მიმდინარე/დასრულებული მშენებლობის შესაბამისობა.

დანართი: 1 ფურცელი.

**პატივისცემით,**

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

# არ ხდება საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა




| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი | | [illegible] | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო | დამკვეთი: შპს "აღმშენებელი" | | |
| არქიტექტორი | | [illegible] | ქალაქი თბილისი, გლდანი საკადასტრო კოდი 72.13.33.805 | | ჯაბა ჩხაიძე (01031003768) | | |
| | | | | მიწის ნაკვეთის განაწილების/გამიჯვნის რუკა | მასშტაბი | ფურც-ბი | ფურც. | თარიღი |
| | | | | | 1:1250 | 31 | 21 (CZ.13.1) | 18.09.2016 წ. |




**პირობითი აღნიშვნები**

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- საკადასტრო საზღვარი
- შიდა გზა
- არსებული საწარმოს შენობა
- საწარმოს საპროექტო შენობა
- საპროექტო მოედანი

| სამრეწველო ზონა (ს)<br>სამრეწველო ზონა 1 (ს-1) | 50000.0 m² |
|---|---|

**სამრეწველო ზონა 1 (ს-1)**

ს-1 - განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად;

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | – | კოეფიციენტი |
| კ-2 | | – | კოეფიციენტი |
| კ-3 | | 9.1 | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | – | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | – | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | – | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | – | მეტრი |
| შენობის მაქსიმალური სიმაღლე | | – | მეტრი |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 109° | პრ. ხელმძღვანელი | [signature] | [illegible] | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო და მოედანი | დამკვეთი: შპს "მეგა ჰოლდინგი" | | | |
| | მთ. არქიტექტორი | [signature] | [illegible] | ქალაქი თბილისი, ნ. ხიზანიშვილის ქუჩა N26ბ საკადასტრო კოდი 72.13.32.805 | | ს.ნ 436031873 | | | |
| | არქიტექტორი | [signature] | [illegible] | | მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის რუკა | მასშტაბი | ფურც-ბი | ფურც. | თარიღი |
| | | | | | | 1:1000 | 31 | 18 (CZ.10.1) | 17.11.2021 წ. |

# მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების რუკა




**პირობითი აღნიშვნები**

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზები
- განაშენიანების რეგულირების (ლურჯი) ხაზები
- მაღალი ძაბვის ელგადამცემი ხაზი
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძა
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძასთან მიმართებაში მაქსიმალური შეზღუდვის არეალი (10 მ.)
- სახელმწიფო გეოდეზიური რეპერი
- შიდა გზა
- არსებული საწარმოს შენობა
- საწარმოს საპროექტო შენობა
- საპროექტო ფარდული

**გეგმარების შემზღუდავი ზონები**

- სატყეო ზონა
- სარეკრეაციო ზონა (რზ)
- სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არ. ხელმძღვანელი | | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო და [illegible] | დამკვეთი: შპს "ვეგა ჰოლდინგი" |
| მთ. არქიტექტორი | | ქალაქი თბილისი, ი. ხოხაშვილის ქუჩა №202ბ საკადასტრო კოდი 72.13.33.805 | | ს.ნ 438031973 |
| არქიტექტორი | | | მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების რუკა | მასშტაბი: 1:1000; ფურც-ბი: 31; ფურც.: 22 (CZ.13); თარიღი: 17.11.2021 წ. |

# მიწის ნაკვეთის კოეფიციენტების კ-1, კ-2, კ-3 დადგენის რუკა




## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- მაღალი ძაბვის ელგადამცემის ხაზი
- შიდა გზა
- არსებული საწარმოო შენობა
- საწარმოს საპროექტო შენობა
- საპროექტო შენობები

## ფუნქციური ზონები

- სატყეო ზონა
- სარეკრეაციო ზონა (რზ)
- სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
- სპეციალური ზონა 1 (სპეზ-1)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

| სამრეწველო ზონა 1 (ს-1) -ში დადგენილი კოეფიციენტები | |
|---|---|
| განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1 | კ-1= – |
| განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 | კ-2= – |
| გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 | კ-3= 0.1 |

| საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ხამუშაოების შედეგად მიღებული კოეფიციენტები | | |
|---|---|---|
| განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1 | 14900.0 $მ^2$ | კ-1=0.3 |
| განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 | 14900.0 $მ^2$ | კ-2=0.3 |
| გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 | 8300.0 $მ^2$ | კ-3=0.2 |

| 109° | არ. ხელმძღვანელი | | | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო და მოწყობა | დამკვეთი: შპს "შენგა ჰოლდინგი" | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მთ. არქიტექტორი | | | ქალაქი თბილისი, ი. ხიზანიშვილის ქუჩა N262ბ საკადასტრო კოდი 72.13.33.805 | | ს.ნ 436031973 | | | |
| | არქიტექტორი | | | | მიწის ნაკვეთის კოეფიციენტების კ-1, კ-2, კ-3 დადგენის რუკა | მასშტაბი | ფურც-ბი | ნახ. | თარიღი |
| | | | | | | 1:1000 | 31 | 16 (CZ.8.1) | 17.11.2021 წ. |

## სიტუაციური გეგმა მასშტაბი 1:1000



## განაწილების სიტუაციური გეგმა მასშტაბი 1:2500






## გეგმარების შემზღუდავი ქვეზონები

- სატყეო ზონა
  სატყეო ზონა
- სარეკრეაციო ზონა (რზ)
  სარეკრეაციო ზონა (რზ)
- სამრეწველო ზონა
  სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
- სპეციალური ზონა
  სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)
- სატრანსპორტო ზონა
  სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
- საცხოვრებელი ზონა
  საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)

## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძა
- სახელმწიფო გეოდეზიური რეპერი
- მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძასთან მიმართებაში მაქსიმალური შეზღუდვის არეალი (10 მ.)

## შენიშვნა

**საპროექტო ობიექტი არ ქმნის დამატებით შემზღუდავ ინფრასტრუქტურის ობიექტებს**

## მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაკვეთის საკადასტრო კოდი | 72.13.33.805 |
| 2 | ნაკვეთის ფართობი | 50 000კვ.მ |
| 3 | დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება: | არასასოფლო-სამეურნეო |
| 4 | გეგმარების შემზღუდავი ქვე ზონა | |
| 5 | ტერიტორიულ სტრუქტურული ზონა ან ქვე ზონა | პერიფერიული ზონა (აზ) |
| 6 | კონკრეტული ფუნქციური ზონა | სამრეწველო ზონა 1 (ს-1) |
| 7 | სამშენებლოდ გამოყენების სტატუსი | სამშენებლო |
| 8 | გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქცია | სამეურნეო და საწარმო შენობები ფუნქცია: რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო |
| 9 | კოეფიციენტები კ1; კ2; კ3 | განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი ___ კ-1=0.3<br>განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ___ კ-2=0.3<br>გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი ___ კ-3=0.2 |
| 10 | შენობა-ნაგებობის სართულიანობა | H= 15.0 მ. 1 სართული |
| 11 | ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა | 83 ავტომობილი |
| 12 | მისაკუთვნებელი ფართობი | 14 900.0 მ² |

# სიმაღლის განსაზღვრის სქემატური ნახაზი მასშ: 1:500




# შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის რუკა

## გენგეგმა მასშ: 1:2000



## პირობითი აღნიშვნები

სამრეწველო ზონა (ს)
სამრეწველო ზონა 1 (ს-1)

სამრეწველო ზონა 1 (ს-1) -ში დადგენილი მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის კოეფიციენტი Y=0,25

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- შიდა გზა
- არსებული საწარმოს შენობა
- საწარმოს საპროექტო შენობა
- საპროექტო შოურუმი

| დირექტორი | | | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო | დამკვეთი: შპს "აღმშენებელი" | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არქიტექტორი | | | ქალაქი თბილისი, გლდანი საკადასტრო კოდი 72.13.33.805 | | ჯაბა ჩხაიძე (01031003768) | | | |
| | | | | შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის რუკა | მასშტაბი | ფურც-ში | ფურც. | თარიღი |
| | | | | | 1:2000 | 31 | 17 (CZ.9.1) | 18.08.2016 წ. |

# ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების რუკა




## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- საკადასტრო საზღვარი
- შიდა გზა
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
- სატვირთო ავტომობილებისთვის განკუთვნილი სადგომი
- მსუბუქი ავტომობილი
- სატვირთო ავტომობილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არ. ხელმძღვანელი | მისამართი | რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების საწარმო და მოწყობა | დამკვეთი: შპს "ზეგა ჰოლდინგი" | |
| მთ. არქიტექტორი | ქალაქი თბილისი, ო. ხიზანიშვილის ქუჩა №262ბ საკადასტრო კოდი 72.13.33.805 | | ს.ნ 438031973 | |
| არქიტექტორი | | ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების რუკა | მასშტაბი 1:1000 | ფურც-ბი 31 |
| | | | ფურც. 24 (Cl.1.1) | თარიღი 17.11.2021 წ. |

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-03/482
12/01/2022

482-2-03-2-202201122212

მოქალაქე ჯაბა ჩხაიძეს (პნ 01031003768)
მის: ქ. თბილისი. თაბუკაშვილის ქუჩა №19
ტელ: 551445518
ელ.ფოსტა: jaba@mega.com.ge

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ასლი: შ.პ.ს. „გზა და ხიდს"
gzadakhidi@gmail.com

ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL"-ს
Info_projects@egis-georgia.com

თქვენი 2021 წლის 30 დეკემბრის (კანც.№41413/2) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №262ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №72.13.33.805), რომელიც მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ12+300მ-ში, მარჯვენა მხარეს, საავტომობილო გზის ღერძიდან 34.80 მეტრის დაშორებით განთავსდეს საამქრო, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

**1. შ.პ.ს. „გზა და ხიდი"-ს წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით, შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან შეთანხმებით და ობიექტის მესაკუთრის ძალებითა და სახსრებით, საამქროსთან სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელის ს/გზასთან მიერთებები, საავტომობილო ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყოს 15 მეტრიანი რადიუსის (R=15) მქონე მრუდებით, რომელიც უნდა მოიხრეშოს, მოშანდაკდეს ჰორიზონტალურად და აღიჭურვოს მოძრაობის ორგანიზაციის მარეგულირებელი შესაბამისი საგზაო ნიშნებით და ცემენტობეტონის ან/და ასფალტობეტონის საფარით, რომლის ნიშნულის დონე არ უნდა აღემატებოდეს თბილისის შემოსავლელის საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარის ნიშნულის დონეს.** შენარჩუნებული იქნას საავტომობილო გზის გვერდული და წყალმომცილებელი საშუალებები.

**2. მიწის ვაკისსა და სავალ ნაწილზე ატმოსფერული ნალექების მოცილების უზრუნველსაყოფად ობიექტის ტერიტორიის ფარგლებში მოეწყოს წყალმომცილებელი საშუალებები.**

3. მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის დგომა.

**4. საამქროს მისასვლელთან თანახმად საგზაო ნიშნების შესახებ ევროპის კონვენციისა (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ) და არსებული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, აკრძალულია ფასების მაუწყებელი და სხვა დანიშნულების სარეკლამო ფირნიშების გზის გასწვრივ მძღოლთა ყურადღების არეალის ფარგლებში განთავსება.**

5. ობიექტის მეპატრონე ვალდებულია საამქროს ტერიტორიის ფარგლებში, თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოს სისუფთავის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა. საამქროს ფუნქციონირების პერიოდში ასფალტობეტონის ან/და ცემენტობეტონის საფარით აღჭურვილი მიერთების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

**6. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე საამქროს განთავსების და სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის საკითხი უნდა შეთანხმდეს შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან.**

7. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ობიექტის დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დაცული უნდა იყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

9. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები **(საამქროს ადგილმდებარეობა, კმ და პკ, საავტომობილო გზის ღერძის მიმართ დაშორება, საგზაო ნიშნების განთავსება, მიერთებების ასფალტობეტონის ან/და ცემენტობეტონის საფარით და საგზაო ნიშნების აღჭურვა, სქემატური ნახაზით წარმოდგენილი ავტოტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის შეთანხმება შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან და სხვა)** უნდა იყოს მკაცრად დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში საამქროს მოწყობასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.

10. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს საამქროს მშენებლობის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

11. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება სს „EGIS INTERNATIONAL"-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სს „EGIS INTERNATIONAL" ვალდებულია აცნობოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს მშენებლობა, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

12. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება საამქროს სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან მიმდინარე/დასრულებული მშენებლობის შესაბამისობა.

დანართი: 1 ფურცელი.

**პატივისცემით,**

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე